

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2010 წლის 23 თებერვალს, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან. თუმცა, დასახელებული კანონის ერთ-ერთი დებულება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს დაზუსტებას.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია დაზუსტდეს იმ მუხლის შინაარსი, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვანია და რომელმაც მომავალში შესაძლებელია გარკვეული გაუგებრობები გამოიწვიოს.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ხდება ცვლილების შეტანა მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, სადაც დაზუსტდა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს ერთობლოვად მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. წინამდებარე პუნქტი ითვალისწინებდა შემდეგ დებულებასაც: „თუ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება მხოლოდ მშობლებს აქვთ, მათ დახმარება ყველა შემთხვევაში მიეცემა.“ გამომდინარე იქიდან, რომ ეს დებულება შინაარსობრივი თვალსაზრისით არ არის დაზუსტებული და გარკვეულწილად ბუნდოვანია, მიზანშეწონილი იქნა მისი ამოღებაც. ამასთან, ცვლილება შედის ამავე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც, თანამშრომელს, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაუზიანდა ჯანმრთელობა, (ნაცვლად დასახიზრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისა) დაზიანების ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 7 000 ლარისა.

გარდა აღნიშნულისა, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მის ამოქმედებას 2010 წლის 31 მარტიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი კანონი ამოქმედდება 2010 წლის 1 აპრილიდან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშება სახელწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

**ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ ზეგავლენას პირებზე, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორია:**

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია:**

პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი